(1)

**ხელშეკრულება # 984**
(სამართლებრივი დახმარების თაობაზე)

ქ. ზუგდიდი 03 იანვარი 2012 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ზუგდიდის მინიციპალიტეტის სოფელ ოდიშის #1 საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ეკატერინე ჯინჯოლიას სახით ერთი მხრივ და შპს - „განათლების ექსპერტი" (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ვახტანგ ნაკაშაშვილის სახით მეორეს მხრივ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს¹" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის გზით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი**

ხელშეკრულების საგანია წინამდებარე ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე სამართლებრივი დახმარების გაწევა (CPV: 79100000) და გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

**მუხლი 2. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი**

1. ხელშეკრულების საერთო წლიური ღირებულება შეადგენს 1200 (ათას ორას) ლარს.
2. ხელშეკრულებით განსაზღვრული სამართლებრივი დახმარების ღირებულება თვეში შეადგენს 100(ასი) ლარს.

3. მომსახურების გაწევა დასტურდება მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის წარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად.

4. დამკვეთი შემსრულებელს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ღირებულებას გადაუხდის უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ყოველი საანგარიშო თვის 28 რიცხვამდე, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

**მუხლი 3. ხელშეკრულების მოქმედება**

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2013 წლის 3 იანვრიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

**მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობები**

*1. შემსყიდველი ვალდებულია:*

1.1. შეუქმნას სამუშაო პირობები მიმწოდებელს და მისი მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია და ინფორმაცია;

1.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვით აანაზღაუროს გაწეული მომსახურების ღირებულება;

*2. მიმწოდებელი ვალდებულია:*

2.1. უზრუნველყოს შემსყიდველისათვის განათლების სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების და ნოვაციების გაცნობა;

2.2. უზრუნველყოს შემსყიდველისათვის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის სამართლებრივი ხელშეწყობა;

2.3. უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ მომზადებული დოკუმენტების სამართლებრივი ექსპერტიზა;

2.4. უზრუნველყოს შემსყიდველისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისა და ხელშეკრულების პროექტის მომზადებაში სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა.

2.5. სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტების, მათ შორის სატენდერო კომისიის ოქმების პროექტების მომზადებასა და შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ოპერირებას;

2.7 პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი ტექნიკური და საკვალიფიკაციო მონაცემების განხილვისას კონსულტაციის გაწევას;

2.8 გამარჯვებულ პრეტენდენტთან დასადები ხელშეკრულების პროექტის შემუშავებას;

*3. შემსყიდველი უფლებამოსილია:*

3.1. მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული და ხარისხიანი შესრულება;

3.2. მოითხოვოს მიმწოდებლისაგან სასამართლოში წარმომადგენლობა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

*4. შემსრულებელი უფლებამოსილია:*

მოითხოვოს დამკვეთისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული შესრულება.

**მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა**

მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვანი შესრულებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 6. ხელშეკრულების შეწყვეტა**

1. ხელშეკრულება ავტომატურად წყდება:

1.1. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო.

1.2. მხარეების ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შემთხვევაში, თუ მას არ ჰყავს სამართალმემკვიდრე ან უფლებამონაცვლე.

2. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

**მუხლი 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

1. ხელშეკრულებაში ყოველი ცვლილების შეტანა წარმოადგენს შეთანხმებას და საჭიროებს წერილობით ფორმას, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები.

2. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

**მუხლი 8. დავის გადაწყვეტა**

მხარეები ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ დავებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტად მიმართავენ სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

**მუხლი 9. ფორს მაჟორი**

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მეორე მხარისათვის მიყენებული ყოველგვარი ზიანის ანაზღაურებისაგან, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული სიტუაციით.

**მუხლი 10. სხვა პირობები**

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

**მხარეთა რეკვიზიტები:**

დამკვეთი:

ს.ს.ი.პ. - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოდიშის #1 საჯარო სკოლა
მის. სოფ. ოდიში
ტელ. 577 93 37 51;
ს/კ220373352
ს.ს ლიბერთი ბანკი
ბანკის კოდი LBRTGE22
ა/აGE72LB0121130040737000
დირექტორის მ.შ
ეკატერინე ჯინჯოლია

ბ.ა.ა.

მიმწოდებელი:

შპს „განათლების ექსპერტი"

საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს „თიბისი ბანკი" მთაწმინდის ფ-ლი
ს/კ № 400071596
ბანკის კოდი TBCBGE22
ა/ა GE49TB7232536080100003

დირექტორი
ვახტანგ ნაკაშაშვილი

(ხელმოწერა)